001/17022022

მინდობილობა

03065/0222021160

ქ. თბილისი, საქართველო **17 თებერვალი, 2022 წელი**

სს „ლიბერთი ბანკის“ (მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #74; საიდენტიფიკაციო კოდი - 203828304) (შემდგომში - **მარწმუნებელი** ან/და **ბანკი**) რისკების დირექტორმა **დავით აბაშიძემ** (პირადი ნომერი - 01017020481) წინამდებარე მინდობილობით **გიორგი რობაქიძეს** (პირადი ნომერი - 01005008104), **ნინო კოპალიანს** (პირადი ნომერი - 01017042345) და **გიორგი ჩალაძეს** (პირადი ნომერი - 01025012067) (შემდგომში - **რწმუნებული**) ცალ-ცალკე მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. **მარწმუნებლის** სახელით ხელი მოაწეროს **ბანკის,** როგორც იპოთეკარის თანხმობის წერილებს, კლიენტების საკუთრებაში არსებული ფართების შეერთების / გამიჯვნის, მშენებლობის ნებართვის გაცემის, ხარვეზის გამოსწორების, არქიტექტურული პროექტის მომზადების შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ შეცვლილ ქონებაზე სრულად გავრცელდება **ბანკის** იპოთეკა;

2. წარადგინოს **მარწმუნებლი** საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის არქიტექტურის სამსახურში ზემოაღნიშნული წერილების რეგისტრაციის მიზნით;

3. **რწმუნებულს** უფლება არ აქვს ამ **მინდობილობით** მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირ(ებ)ს;

4. **მინდობილობა** შედგენილია 2 (ორი) იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5. **მინდობილობა** ძალაში შედის 2022 წლის 17 თებერვალს და მოქმედებს მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე.

სს „ლიბერთი ბანკი“

დავით აბაშიძე
რისკების დრექტორი

ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურ"-ს

23.05.2022
06065/022205894

გაცნობებთ, რომ შპს" ფლექს გრუპი"-ს (ს/ნ 404962073)კუთვნილი უძრავი ქონება:

საკადასტრო კოდი: 81.08.16.712 მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 3000.00 კვ.მ.;ნაკვეთის წინა ნომერი:81.08.16.552; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 3000.00 კვ.მ. ; არის დატვირთულია იპოთეკით "ლიბერთი ბანკი" (ს/ნ 203828304)სასარგებლოდ დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, დამოწმების თარიღი 06/05/2016

სს „ლიბერთი ბანკი", როგორც იპოთეკარი აცხადებს თანხმობას,ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე განხორციელდეს არსებული პროექტის კორექტირება, იმ პირობით რომ აღნიშნული არ გამოიწვევს სს „ლიბერთი ბანკი"-ს სასარგებლოდ არსებული იპოთეკის შემცირებას, შესაბამისად იპოთეკა გავრცელდება უკვე არსებულ და შემდგომში დამატებულ ნაწილზეც.

საკრედიტო მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

გიორგი ჩალაძე

სს „ლიბერთი ბანკი"
ლიბერთი
203828304
№2
JSC "LIBERTY BANK"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21/2056-22
"30" 12 2022 წ

დადგენილება №003282
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

30.12.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე, 2022 წლის 13 ოქტომბრის №003282 მითითება და 2022 წლის 03 ნოემბრის №003282 შემოწმების აქტი შედგენილი შპს „ფლექს გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო №4049620723; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ტაშკენტის ქ., №31, ბინა №99) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილო, №81.08.16.712 საკადასტრო კოდზე, შპს „ფლექს გრუპი"-ს მიერ, განხორციელდა საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3055097 AR1448929 ბრძანებით (მშენებლობის ნებართვა №4912491 AR1740823 ბრძანება) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: 0.00 ნიშნულზე 1-2 და ა-ბ მონაკვეთში კიბის უჯრედში შეცვლილია მარშების კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. 6-7 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის უჯრედი. 7-7 ღერძზე დამატებულია კარი. 5.00 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში გაზრდილია აივნის გაბარიტი. აივნის ფილები გაერთიანებულია. 1-1 და 3-3 ღერძებთან დამატებულია კედლები. აივანზე დამატებულია ლითონის დგარი. გაუქმებულია ორი კედელი. 6-7 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის უჯრედი. 9.50 ნიშნულზე, სახურავზე 6-7 მონაკვეთში, ფრაგმენტში მოწყობილია კიბის უჯრედის ღიობი და დამატებით მოწყობილია კედლები და სახურავზე გასასვლელი კარი. სახურავზე დამატებით მოწყობილია პარაპეტები. შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების გაბარიტები და ვიზუალური შეხედვის პერიმეტრზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა და სისქე. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების სამღებრო სამუშაოები. დამატებულია წყალშემკრები მილები.

განაცხადი ობიექტის ფასადზე 16.01.2

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2022 წლის 13 ოქტომბერს, გაიცა №003282 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა და დაევალა უსაფრთხოების წესების დაცვით, ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2022 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №003282 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2022 წლის 16 ნოემბერს და 2022 წლის 24 ნოემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომები. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომებზე მხარე არ გამოცხადდა.

2022 წლის 30 დეკემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ შპს „ფლექს გრუპი"-ს მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 13 ოქტომბრის №003282 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „ფლექს გრუპი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილო, №81.08.16.712 საკადასტრო კოდზე, განხორციელდა საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3055097 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შპს **„ფლექს გრუპი"** დაჯარიმდეს 10 000 (ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილო, №81.08.16.712 საკადასტრო კოდზე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (საწყობი) მშენებლობისათვის;

2. შპს **„ფლექს გრუპი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „ფლექს გრუპი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაყელი

საგადახდო დავალება
Payment Order

1674485408

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 23/01/2023

გადამხდელი / Sender

შპს ფლექს გრუპი, 404962073

რეფერენსი / Ref. Num.

8749628768

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE98TB7625636020100001

თანხა / Amount

10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ათი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ფლექს გრუპი, 404962073*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404962073

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

23/01/2023

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 003282 4-11დ2056-22 30.12.2022 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ბ.ა.



ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

თვე	1		2		3		4		5		6		7		8		9		10	
ჩასატარებელი სამუშაოები																				
ტერიტორიის მომზადება																				
საძირკვლის ლენტის ჩასხმა																				
გადახურვის ფილის დასხმა +-0.00 ნიშნულზე																				
რკინაბეტონის სვეტების ჩასხმა +-0.00 ნიშნულზე																				
გადახურვის ფილის დასხმა + 5.00 ნიშნულზე																				
რკინაბეტონის სვეტების ჩასხმა +5.00 ნიშნულზე																				
გადახურვის ფილის დასხმა + 9.50 ნიშნულზე																				
ბლოკის კედლების ამოყვანა																				
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის ჩასმა																				
შელესვა-შეღებვა																				
ელექტორბის გაყვანა																				
სამშენებლო ნაგვის გატანა, ტერიტორიის მოსუფთავება																				